2023 | შემოდგომის ტურნირი

ჭაბუკთა "ბ" ლიგა

1. ტურნირში ნებაყოფლობით მონაწილეობენ წლევანდელი ჭაბუკთა 'ბ' ლიგის გუნდები

1.1 სათამაშო დღე: 16 ნოემბერი

1.2 მატჩის დრო: ორი 10 წუთიანი ტაიმი, შესვენება: 3 წუთი, ყვითლით გაძევება – 3 წუთი

1.3 შეცვლების რაოდენობა: შეუზღუდავი

2. **მონაწილეთა რაოდენობა:** 13

მონაწილენი რეიტინგის მიხედვით განაწილდნენ 3 ჯგუფში:

I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი
ლელო	ხარები	აკადემია
არმაზი	წიქარა	არმია
ყაზბეგი	ყოჩები	ჯრუჭი
რაშები	ვეფხვები-ხულიგანა	ლელო 2
	იუნკერები	

3. **გათამაშების სისტემა**

ტურნირი ტარდება ერთ **ჯგუფურ ეტაპად**:

3.1 ჯგუფებში თამაშები იმართება ერთ წრედ

3.1.2 ჯგუფებში ადგილები ნაწილდება დაგროვილი ქულებით

3.1.2.1 მოგება 4 ქულა, ფრე 2, წაგება 0 | +1 **ბონუსი** = პრემია ან ნუგეში $

პრემია მხოლოდ მოგებულს, თუ მეტოქეს [მინიმუმ] სამით მეტ ლელოს გაუტანს

ნუგეში მხოლოდ წაგებულს, თუ 8 ქულაზე ნაკლებით დამარცხდება

ფრეზე ბონუსი არავის ერგება

3.1.3 თუ ორ ან მეტ გუნდს დაუგროვდა **ტოლი ქულა**, დაწინაურდება ის:

ა) რომელმაც დააგროვა მეტი (საცხრილო) ქულა ურთიერთ შეხვედრაში

ბ) რომელსაც გატანილი და გაშვებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აქვს ურთიერთ შეხვედრაში

გ) რომელსაც გატანილი და გაშვებული ლელოების უკეთესი სხვაობა აქვს ურთიერთ შეხვედრაში

დ) რომელსაც გატანილი და გაშვებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აქვს ჯგუფის ყველა მატჩში

ე) რომელსაც გატანილი და გაშვებული ლელოების უკეთესი სხვაობა აქვს ჯგუფის ყველა მატჩში

ვ) რომელმაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) მიიღო ჯგუფის ყველა მატჩში

3.1.4 ტურნირი ერთ დღიანია

3.1.5 სამივე ჯგუფი თამაშობს სხვადასხვა სტადიონზე/კალენდარულ დღეს

3.1.6 ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ პლეი-ოფი არ ეწყობა და გამარჯვებულად ცხადდებიან ჯგუფის მოწინავენი

07/11_2023